წერილის ნომერი: **18-01190584191**
თარიღი: **27/02/2019**
პინი: **3457**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 15 თებერვლის #60-01190461156 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ დავით კობახიძის მიერ 2018 წლის 18 ივლისს გაცემული მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ნიკოლოზ სულხანიშვილის მომართვის (AR1654929) საფუძველზე, ქ. თბილისში, ე. მინდელის ქ.3-ში (ს.კ.: 01.14.01.007.327) (სსზ-1; სზ-6) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს და დააფიქსიროს პოზიცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, განმცხადებელმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს 27^4-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა წარმოადგინოს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად დანომრილი, გადასარგავად ან/და მოსაჭრელად მოთხოვნილი **მწვანე ნარგავების ამსახველი ფოტო-სურათები.** ასევე, განმცხადებლის მიერ დასაზუსტებელია გადასარგავი ხეების სახეობა და ნუმერაცია, კერძოდ ტოპო. გეგმაზე გადასარგავად მითითებული N1 მწვანე ნარგავის სახეობა არ ემთხვევა საექსპერტო დასკვნის ნუმერაციის შესაბამის სახეობას. განმცხადებელმა უნდა დააფიქსიროს მკაფიო პოზიცია თუ რომელი მწვანე ნარგავის გადარგვას ითვალისწინებს აღნიშნული პროექტის განხორციელება.

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხზე, აუცილებელია ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი